



მატიას ენარი
ესაუბრე ბრძოლებზე,
მეფეებსა და სპილოებზე

მატიას ენარი
ესაუბრე პრძოლებზე, მეცვებსა და საილოგზე

Mathias Enard
PARLE-LEUR DE BATAILLES, DE ROIS AT D'ÉLÉPHANTS

ფრანგულიდან თარგმნა თამარ ლომიძემ
გარეკანზე: ჯულიანო ბუჯარდინის „მიქელანჯელო ჩალმით“

Published by arrangement with Lester Literary Agency.
Cet ouvrage a bénéficié du soutien des Programmes d'aide à la publication
de l'Institut Français.
წიგნი გამოიცა ფრანგული ინსტიტუტის საგამომცემლო დახმარების
პროგრამის ფარგლებში.

გვ. 132-133: © Pierre Mrquès
© Editions Actes Sud - Arles 2010
All rights reserved.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2017
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-543-1

www.diogene.ge

რადგან ბავშვები არიან, ესაუბრე ბრძოლებსა და მეფეებზე, ცხენებზე, ეშმაკებზე, სპილოებსა და ანგელოზებზე, მაგრამ სიყვარულსა და ასეთ რამეებზე საუბარიც არ დაგავიწყდეს.

pam dura
ubochal duino
una aringa
torcogli



una galana
cuattro patti
un bochial d'aceto
un quanuccio di bruscole
a pucelle di spinaci
quattro uleci
tortelli

sei patti
due minestre di fuso fuso
una aringa
un bochial di tondo

due fritule
nove e quattro patti
due fritule

ლამე დღეს ვერასდროს ხვდება – განთიადის კოცონზე იწვის. ლამესთან ერთად იფერფლებიან მისიანებიც: ლოთები, პოეტები, საყვარლები. განწირულთა, სიკვდილმისჯილთა მოდგმა ვართ. მე შენ არ გიცნობ. შენს თურქ მეგობარს კი ვიცნობ – ისიც ჩვენნაირია. ნელ-ნელა ქრება, ჩრდილი და თავისივე მირაჟები შთანთქავენ. ძმები ვართ. არ ვიცი, რომელმა ტკივილმა თუ სიამოვნებამ უბიძგა ჩვენკენ, ვარსკვლავების მტვრისკენ – ოპიუმმა, ღვინომ თუ სიყვარულმა; ან იქნებ მეხსიერების კუნჭულში სამედოდ დამალულმა სულის იდუმალმა ჭრილობამ...

შენც გინდა, რომ შემოგვიერთდე.

ჩვენი მკლავებისკენ შიში და დაბნეულობა გიბიძგებს, ჩახუტება გინდა, თუმცა გახევებული სხეული ისევ ძველ ჩვეულებებს ებლაუჭება, სურვილებს გაშორებს, სიახლეს უარყოფს.

არ გვიცხავ.

შენ სხვა საპყრობილის მკვიდრი ხარ – ძალისა და სიმამაცის სამყაროს წარმოადგენ. გჯერა, რომ გამარჯვება გელის; იმედი გაქვს, ქვეყნიერების საჭეთმცყრობელთა კეთილგანწყობას დაიმსახურებ; დიდებისა და ქონების მოსაპოვებლად ილტვი. თუმცა, დაღამდება თუ არა, ცახცახს იწყებ. არ სვამ, რადგან გეშინია. იცი, რომ სასმელი ყელს ჩაგწვავს და სიბნელეში მიმქრალ გრძნობებს გაგიღვიძებს, სისუსტისკენ გიბიძგებს, მოფერებას მოგანდომებს, გამქრალი სინაზის დაბრუნების დაუძლეველ სურვილს გაგიჩენს,

ბავშვობის დაკარგულ სამყაროს, კმაყოფილებასა და სიმშვიდეს მოგანატრებს.

გვითხოვთ, რომ ჩემი სილამაზე, გლუვი კანი, შუქიანი ლიმილი, ნატიფი კიდურები, ალისფერი ტუჩები გიზიდავს. სინამდვილეში კი, გაუცნობიერებლად, შიშისგან გათავისუფლებას ცდილობ; გამოვანმრთელება, სხვებთან ყოფნა, დაბრუნება, დავიწყება გინდა. და ეს სურვილები ბოლოს გიღებს მარტოობაში.

ამიტომაც იტანჯები, უსასრულო ბინდბუნდში იძირები. ცალი ფეხი ლამეში გაქვს, ცალი – დღეში.

სიასამურისა და კვერნის ქურქების სამი ფუთა, შალეულის ას თორმეტი შეკვრა, ბერგამოული ატლასის ცხრა თოფი, ამდენივე ოქროსფერი ფლორენციული ხავერდი, ხუთი კასრი გვარჯილა, სარკებით სავსე ორი ყუთი და სამკაულების მომცრო ზარდახშა – ეს საქონელი ჩამოტვირთეს გემიდან, რომლითაც მიქელანჯელო ბუონაროტი კონსტანტინოპოლის ნავსადგურს მიადგა 1506 წლის 13 მაისს, ხუთშაბათ დღეს. ფრეგატი გემსაბლით მიაბეს თუ არა, მოქანდაკე მინაზე გადმოხტა. ექვსდღიანი მტანჯველი ცურვის შემდეგ, რწევა-რწევით, ძლივს გაიარა. იმ ბერძენი თარჯიმნის ვინაობა, რომელიც ნავსადგურში ელოდა, არ ვიცით. მოდი, მანუელად მოვიხსენიოთ. სამაგიეროდ, მისი თანმხლები ვაჭრის სახელმა მოაღწია ჩვენამდე: ჯოვანი დი ფრანჩესკო მარინგი სტამბოლში ხუთი წლით ადრე დამკვიდრებული ფლორენციელი გახლდათ. საქონელიც მას ეკუთვნოდა. ამ გულლია კაცისთვის დიდი ბედნიერება იყო ფლორენციის რესპუბლიკის გმირის, დავითის გამომქანდაკებლის გაცნობა.

იმდროინდელი სტამბოლი სულ სხვანაირი იყო – ჯერ კიდევ კონსტანტინოპოლის ეძახდნენ. წმინდა სოფიას ტაძარი ლურჯი მეჩე-თის გარეშე ბატონობდა, ბოსფორის აღმოსავლეთ სანაპირო გაჩანა-გებული იყო, დიდი ბაზარი ჯერ არ ქცეულიყო ობობის გიგანტურ ქსელად, რომლის ლაბირინთებშიც მთელი მსოფლიოდან ჩამოსული ტურისტები იკარგებიან. რომის იმპერია აღარ არსებობდა, ოსმალებს კი თავიანთი იმპერია ჯერ არ ჰქონდათ. ქალაქში ირეოდნენ

თურქები, ბერძნები, ებრაელები და ლათინები. სულთანს ბაიაზიდ მეორე ერქვა – წმინდას, ღვთისმოსავსა და სამართლიანს უხმობდნენ. ფლორენციელები და ვენეციელები ბაიაზეტოდ მოიხსენიებდნენ, ფრანგები ბაჟაზეს ეძახდნენ. ბრძენი და თავშეკავებული კაცი იყო, ტახტზე ოცდათერთმეტი წელი იჯდა. ღვინო, პოეზია და მუსიკა იტაცებდა, არც ჭაბუკებს იწუნებდა, არც – ქალაშვილებს. მეცნიერებას, ხელოვნებას, ასტრონომიას, არქიტექტურას, ომის სიამოვნებას, სწრაფ ცხენებსა და ბასრ იარაღს აფასებდა. არავინ იცის, რატომ მოიწვია სულთანმა სტამბოლში ფლორენციელი მიქელანჯელო ბუონაროტი, მიუხედავად იმისა, რომ მოქანდაკეს იტალიაში უკვე სახელი გაეთქვა. ოცდათერთმეტი წლის მამაკაცში ზოგიერთები იმ დროის უდიდეს ხელოვანს ხედავდნენ. მას ხშირად ადარებდნენ იცი წლით უფროს დიად ლეონარდო და ვინჩის.

იმ წელს, 17 აპრილს, შაბათს, წმინდა პეტრეს ახალი ტაძრის საძირკვლის ჩაყრის წინა დღეს, გაბრაზებული მიქელანჯელო რომიდან გაიქცა. ზედიზედ მეხუთედ ესტუმრა პაპს და ევედრა, დაპირებული თანხა გადამიხადეო, მაგრამ პირში ჩალაგამოვლებული გამოისტუმრეს.

გრილი, წვიმიანი გაზაფხული იყო. მიქელანჯელოს შალის მოსასხამში გააკანგალა. ლამის ორი საათისთვის ფლორენციის რესპუბლიკის საზღვარს მიაღწია, როგორც მისი ბიოგრაფი ასკანიო კონდივი გვამცნობს. მოქანდაკე ქალაქიდან ოცდაათი ლიეთი დაშორებულ ფუნდუში გაჩერდა.

მიქელანჯელო ლანძღავს და აგინძს მებრძოლ, ძალაუფლების მოყვარულ პაპს, იულიუს მეორეს, რომელიც ასე ცუდად მოეპყრო. მიქელანჯელო ამაყი კაცია. მიქელანჯელომ იცის, რომ დიდი ხელოვანია.

ფლორენციის ტერიტორიაზე უსაფრთხოდ გრძნობდა თავს, ამიტომაც გააპრუნა უარით პაპის გამოგზავნილი სბირები, რომელთაც რომში ნებით თუ ძალით უნდა ჩაეყვანათ. თავად ფლორენციას მომდევნო დღეს, ნასამხრევს მიაღწია. მოსამსახურემ უბრალო ბულიონი მიართვა. მიქელანჯელომ უხმოდ შეუკურთხა ხუროთმოძღვარ ბრამანტესა და მხატვარ რაფაელს – პაპთან ხომ სწორედ ამ შურიანებმა გაუტეხეს სახელი. პონტიფექსი იულიუს დელა როვერეც ამაყი კაცი იყო – ამპარტავანი, ძალაუფლების

მოყვარული და ცუდი გადამხდელი. ხელოვანმა საკუთარი ჯიბი-დან გადაიხადა იმ მარმარილოს საფასური, კარარეში, ახალი ტაძრის შუაგულში ასაგები პაპის ვეებერთელა განსასვენებლისთვის რომ შეარჩია. მიქელანჯელომ ამოიოხრა. პაპის ხელმოწერილი ხელშეკრულებით გაცემული ავანსი ბოლომდე დაეხარჯა მასალაში, მგზავრობასა და ქვისმთლელების გასამრჯელოში.

მოგზაურობითა და უსიამოვნებებით დაქანცული, ბულიონით შემთბარი მოქანდაკე რენესანსის ეპოქის ციცქანა ლოგინში შეძვრა და ბალიშზე ზურგმიყრდნობილმა დაიძინა, რადგან მწოლიარე კაცის გარდაცვლილთან მსგავსების ეშინოდა.

მეორე დღეს პაპის შეტყობინებას ელოდა. სიბრაზისგან ცახ-ცახებდა, როცა აგონდებოდა, რომ პონტიფექსმა გამომგზავრების ნინა დღეს მასთან შეხვედრა არც კი იყალრა. ხუროთმოძღვარი ბრამანტე ბრიყვია, მხატვარი რაფაელი – ამპარტავანი. ორივე ქონდრისკაცი კი ერთად ელაქუცება უზომოდ გადიდგულებულ პორფიროსანს. მერე კვირა დღე გათენდა. მიქელანჯელომ მრავალ-თვიანი მარხვის შემდეგ პირველად გაიხსნილა მეზობელი მეფუნთუშის მომზადებული ბატქნის უგემრიელესი კერძით.

მთელი დღე ხატავდა, სამი სანგინი და ორი გრიფელი უცებგახარჯა.

დღეები გადის. მიქელანჯელო ლელავს – შეცდომა ხომ არ დაუძვა? ეგებ მის უწმინდესობას წერილი მისწეროს, მისი წყალობა დაიბრუნოს და რომში გაემგზავროს? არასოდეს! დავითის ქანდაკებამ მთელი ფლორენციის გმირად აქცია. ქალაქში მის დაბრუნდებას რომ შეიტყობურ, შეკვეთებიც არ დააყოვნებს. მაგრამ ეს იულიუსს გააცოფებს – მისთვის ხომ პირობა აქვს მიცემული! პონტიფექსის წინაშე თავის კიდევ ერთხელ დამცირების პერსპექტივამ ისე გააცოფა, რომ მაიოლიკის ორი ლარნაკი და ერთი თევზი დალენა.

მერე დაწყნარდა და ანატომიური ეტიუდების ხატვას შეუდგა.

სამ დღეში – როგორც ასკანიო კონდივი აზუსტებს, მწუხრისას – ორი გალუმპული ფრანცისკელი ბერი ესტუმრა. ბოლო ხანს არნო ძალიან ადიდდა, ყველას წყალდიდობის ეშინოდა. მსახური ქალი ბერებს ტანსაცმლის გაშრობაში დაეხმარა. მიქელანჯელო დააკვირდა მამაკაცებს, რომლებსაც ანაფორების ტალახიანი ბოლოებიდან შიშველი კოჭები და ხმელი წვივები მოუჩანდათ.

– ოსტატო, უაღრესად მნიშვნელოვანი წერილი უნდა გადმოგცეთ.

– როგორ მომაგენით?

იულიუს მეორის საცოდავი შიკრიკების შემხედვარე, მიქელანჯელო გამხიარულდა.

– თქვენი ძმა დაგვეხმარა, ოსტატო.

– ეს წერილი თქვენთვისაა, მაესტრო. უჩვეულო თხოვნაა. უაღ-რესად მნიშვნელოვანი პირისგან.

წერილი დაბეჭდილი კი არა, უცნობი ასოებით დალუქული იყო. მიქელანჯელოს გული დასწყდა, პაპისა რომ არ აღმოჩნდა. წერილი მაგიდაზე დადო.

– რა არის?

– კონსტანტინოპოლის სულთნის მოწვევაა, ოსტატო.

ადგილი წარმოსადგენია ხელოვანის გაოგნება და წვრილი თვალების გადმოკარკვლა. კონსტანტინოპოლის სულთანი. დიდი თურქი. წერილს ხელში ატრიალებს. გასანთლულ ქაღალდს რბილზე რბილი ფაქტურა აქვს.

ადრიატიკის ქარში, ხომალდზე, მიქელანჯელო სინანულმა შეიპყრო. გულ-მუცელი ამოუტრიალდა. ყურებში მხოლოდ ხმაური ედგა, ეშინოდა. ეს ქარიშხალი ღვთის შურისგება იყო. ჯერ რა-გუზის აკვატორიაში, მერე მორეასთან გამუდმებით აგონდებოდა წმინდა პავლეს სიტყვები: „ლოცვა რომ ისწავლო, ზღვაში უნდა გახვიდე“. ახლა კი გაიგო მათი აზრი. ზღვის უკიდეგანო სივრცე აფრთხობდა. იუნგები საზარელ კილოკავზე დუდლუნებდნენ, რო-მელიც სანახევროდ არ ესმოდა.

მიქელანჯელო ფლორენციიდან ანკონაში პირველ მაისს გაემ-გზავრა. ხომალდზე ასვლამდე ექვსი დღე იყოყმანა. ფრანცისკე-ლები სამჯერ ესტუმრნენ, სამჯერვე დრო ითხოვა მოსაფიქრებ-ლად და ისინი უკან გაისტუმრა. სულთნის წერილი ათასჯერ გადაიკითხა – პაპისგან საიმედო ნიშნის მოღლოდინში, რომელიც მის ყოყმანს ბოლოს მოუღებდა. ალბათ იულიუს მეორე ბაზილი-კის მშენებლობითა და ახალი ომის სამზადისით იყო გართული. კონსტანტინოპოლის სულთნის სამსახურში მოქანდაკის ჩადგომა სილას გააწნავდა მეომარ პონტიფიცეს, რომელმაც ბოგანოსავით გამოაგდო. თანაც დიდმა თურქმა ზღაპრული თანხა შესთავაზა – ორმოცდაათი ათასი დუკატის ეკვივალენტი ერთ თვეში, ანუ ხუთჯერ მეტი, ვიდრე პაპმა ორ წელში გადაუხადა. ბაიაზიდი ბევრს არაფერს ითხოვდა: ერთ თვეში კონსტანტინოპოლისა და პერის – ჩრდილოეთით მდებარე დასახლების – შემაერთებელი

ხიდი უნდა დაეხატა, დაეხაზა და მშენებლობის დაწყებას დასწრებოდა. ამ ხიდს უნდა გადაეკვეთა ოქროს რქა – პიზანტიულების Khrusokeras-ი. ხიდი სტამბოლის ნავსადგურის შუაგულში. ცხრაასფუტიანი ნაგებობა. მიქელანჯელო უნდილად შეეცადა ფრანცისკელების დარწმუნებას, სათანადო გამოცდილება მაკლიაო. რაკი სულთანმა აგირჩიათ, ესე იგი, გამოცდილი ბრძანდებით, ოსტატოო, – მიუგეს ბერებმა. თუ დიდ თურქს თქვენი ნახატი არ მოეწონება, ლეონარდო და ვინჩის ესკიზივით დაიწუნებსო. ლეონარდო? ლეონარდოს მერე მთავაზობენ ამ საქმეს? იმ მოუქნელის მერე, რომელსაც ქანდაკებისა არაფერი გაეგება? ბერმა უნებლიერ მონახა მიქელანჯელოს დასარწმუნებელი სიტყვები: თუ დათანხმდებით, მის დიდებას დაჩრდილავთ; იქ მიაღწევთ წარმატებას, სადაც ის ჩაფლავდა; თანაც „დავითივით“ უბადლო ქმნილებას დაუტოვებთ სამყაროსო.

ახლა კი ხის სველ მოაჯირზე დაყრდნობილი შეუდარებელი მოქანდაკისგან, გენიალური მხატვრისა და ბრწყინვალე არქიტექტორისგან შიშისა და გულისრევისგან მოკრუნჩხული მომცრო სხეულილა დარჩენილიყო.

ჰოდა, მთელი ეს ქურქები, შალეულის შეკვრები, ბერგამოული ატლასისა და ფლორენციული ხავერდის თოფები, კასრები და ყუთები იმ გემიდან ჩამოტვირთეს, რომლითაც მიქელანჯელოს მოგზაურობა დასრულდა 1506 წლის 13 მაისს.

ერთი საათით ადრე, სასახლის კუთხეს რომ გასცდნენ, ხელოვანმა წმინდა სოფიას ტაძარი შენიშნა – ეს მხარბეჭიანი გოლიათი, ატლანტი, რომლის გუმბათიც სამყაროს მწვერვალი იყო. გემი ნაპირს რომ მიუახლოვდა, ნავსადგურის საქმიანობას დააკვირდა. ნასა, როგორ ტვირთავდნენ მიტილენურ ზეთს, ტრიპოლეურ საპონს, ეგვიპტურ ბრინჯას, სმირნულ ლელვის ჩირს, მარილსა და ტყვიას, ვერცხლს, აგურსა და ხე-ტყეს. ქალაქის ფერდობებს თვალი მოავლო, ძველი ჰარამხანა დაინახა, გორაკის თავზე დიდი მეჩეთის მინარეთები დაღლნდა. გულდასმით დააკვირდა მოპირდაპირე ნაპირს, გალათის ციხის მინაყრილებს, რომლებიც ოქროს რქის მეორე მხარეს ჩანდა. როგორ განსხვავდება ეს შესართავი ტიბრისგან! აი, აქ, ოდნავ ზევით უნდა ააგოს ხიდი. ორ ნაპირს შორის წარმოუდგენლად დიდი მანძილია. რამდენი თაღი დასჭირდება? ნეტა რა სიღრმისაა ეს ყურე?

მიქელანჯელო ფლორენციელი ვაჭრის, მარინგის მაღაზიების თავზე დააბინავეს – პატარა ოთახში. იფიქრეს, რომ ოთახის დაქირავება თანამემამულის სახლში ესიამოვნებოდა. ბერძენი თარჯიმანი მეზობელ შენიანაში დასახლდა.

მიქელანჯელო ბუონაროტიმ ბარგის ამოლაგება დაიწყო ოთახში, რომელიც ქვის თაღებიან ღია დერეფანში გადის. ძალიან მაღლა, თითქმის ჭერზე, ორ წყებად ჩარიგებულ ფანჯრებში სინათლე დაუბრკოლებლად აღწევს და თანაბრად იღვრება. წაბლის ხის სანოლი და მაგიდა, კაკლის ხის მოჩუქურთმებული ზანდუკი, ზეთის ორი სანათი და ჭერში ჩამოკიდებული რკინის მრგვალი სასანთლე – სულ ესაა ოთახის მოწყობილობა.

პატარა კარს უკან ფერადი შორენკეცით მოპირკეთებული სააბაზანოა, რომელიც მიქელანჯელოს არაფერში არგია – ის ხომ არასოდეს ბანაობს.

მიქელანჯელოს საკუთარი ხელით გაკეთებული რვეული აქვს: ორად გაკეცილი ფურცლები ძაფით შეკრა და მუყაოს ყდა მია-მაგრა. ამ რვეულში არაფერს იხატავს, აქ ვერც ესკიზებს ნახავთ; არც ლექსებს იწერს, რომლებსაც დროდადრო გონიერები თხზავს ხოლმე. ვერ იპოვით წერილების შავ პირებს ან შთაბეჭდილებებს ყოველდღიური ყოფისა თუ ამინდის თაობაზე.

ეს დალაქავებული რვეული მის საგანძურს ინახავს: საგნების, ანგარიშების, მასალების, დანახარჯის დაუსრულებელ სიებს, მე-ნიუებს, უბრალო სიტყვების ჩამონათვალს.

დღიური მისი სკივრია.

სახელები ნივთებს აცოცხლებს.

11 მაისი – ლათინური აფრა, კლივერი, გვარლი, ბაგირი, აფ-რების აშვება.

12 მაისი – წვრილი თოკი, კაბესტანი, კილი, ტრაპი, კიჩო.

13 მაისი, 1506 წელი – ძენძი, აბედი, კვესი, ფითილი, ცვილი, ზეთი.

14 მაისი – სქელი ქალალდის ათი პატარა ფურცელი, ხუთი დიდი ფურცელი, სამი საუცხოო კალამი, სამელნე, შავი მელნის ბოთლი, ნითელი მელნის შუშა, გრიფელები, გრიფელის კალმები, სამი სან-გინი.

ორი დუკატი მარინგის – ხარბს, ქურდს, მახრჩობელას.

ბედად, პური და ნახშირი უფასოა.